პარასკევი, 1918 წ. მაისის 24 № 99

ᲧᲝᲚᲘᲗᲐᲓᲘ ᲛᲔᲝᲗᲗᲔᲯᲔ — ᲤᲐᲡᲘ ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲨᲘ ᲓᲐ ᲞᲠᲝᲕᲘᲜᲪᲘᲐᲨᲘ 30 ᲙᲐᲞ. ᲠᲙ. ᲒᲖᲘᲡ ᲡᲐᲓᲒᲣᲠᲔᲑᲖᲔ 35 ᲙᲐᲞ.

პარასკევი, 1918 წ. მაისის 24 № 99

სამართალი

რედაქცია

საგაზეთო მასალა უნდა იყოს დაწერილი გარკვეულად და ერთ გვერდზე. წერილში უნდა აღნიშნული იყოს ავტორის გვარი და მისამართი. უპირობოდ გამოგზავნილი მასალა უფასოთ ითვლება. დაუბეჭდავი საგაზეთო მასალა არ ინახება და რედაქცია არავითარ მიწერ-მოწერას მის შესახებ არ კისრულობს.

რედაქცია დღეა დილის 9—3 საათამდის, გარდა უქმე დღისა. სარედაქციო საქმეების გამო პირადად რედაქტორები შეიძლება ამავე დროს.

ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: ᲗᲑᲘᲚᲘᲡᲘ, ᲡᲐᲡᲐᲮᲚᲘᲡ ᲥᲣᲩᲐ, № 5 ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲘ. ᲤᲝᲡᲢᲘᲡ ᲛᲘᲡᲐᲛᲐᲠᲗᲘ: Тифлисъ, почт. ящикъ № 76. Телеграфный адресъ: Тифлисъ. Сакартвело.

ᲙᲝᲜᲢᲝᲠᲐ

პირველ აპრილიდან ხელის წერა შეიძლება მხოლოდ ხანი თვით და ეღირება—18 მ. თვეში (ხოლოდ ქალაქში) 6 მ. და 50 კ. ცალკე № 30 კ. განცხადების ფასი სტრიქონი პეტიტისა პირველ გვერდზე 50 კაპ. უკანასკნელზე—30 კაპ. საეკლესიოს გარეშე შეღებულ განცხადებათა ფასი ორჯერ მეტია. ხანგრძლივიანი განცხადება თითოჯერ ნიმუშია: 20×2—15 მანეთი, 30×2—20 მანეთი. მისამართის გამოცვლა ქალაქში 1 მან. ქალაქს გარეთ 1 მ. და 50 კ. ფული და ნერილები, რაც კონტორას შეეხება, უნდა გამოგზავნოს კონტორის სახელზე. სარედაქციო განცხადებანი უნდა ნოემბერ იქნას არა უგვიანეს 1½ საათისა კონტორაში. კონტორა ღიაა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 ს.-მდე.

ᲡᲐᲚᲔᲤᲝᲜᲘ რედაქციისა და კონტორისა 15—73

საგულისხმიერო ცნობები

გერმანელების საჰაერო ფლოტმა კენტსა და ესსექსთან ზღვის პირი გადასჭრა და ლონდონს თავს დაესხა, მოკლულია 37, დაჭრილია 161.

ოსმალები სამხედრო საჭიროებათათვის ამიერკავკასიის რკინის გზით სარგებლობას მოითხოვენ.—ოსმალეთთან საზავო მოლაპარაკებაში გერმანეთის დელეგაციამ შუამდგომლობა იკისრა.—ხმები სადგურ დიდ კარაკლისის აღების შესახებ ტყუილი გამოდგა.

უკანასკნელი საშუალება

ოსმალეთის ლაშქარი კვლავ წინ მოიწევს. მიუხედავად იმისა, რომ ბათომში საზავო მოლაპარაკება სწარმოებს და ოსმალეთსა და ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის შორის დროებითი ზავია ჩამოგდებული, ოსმალეთის ჯარები მსვლელობას განაგრძობენ და ბორჩალოს მაზრაში შემოიჭრნენ.

ამიერ-კავკასიის რესპუბლიკის მდგომარეობა თავიდანვე არ იყო მტკიცე, მაგრამ დღეს ის განსაკუთრებულს ხიფათს გაბიცდის. ოსმალეთის ლაშქარი უკუთვსს შემთხვევაში საუაზე გაჰყოფს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკას და მისი ლაშქარი გაიყვლის მუსულმანთა მიწებს და ბოლშევიკებისაგან ბაქოს განთავისუფლებას შეუდგება. ბევრს ეშის შიშიც აქვს, რომ ოსმალთა ჯარები თბილისსკენაც გამოგზურებიან საქართველოს და დედა-ქალაქში შემოვლენ.

ქართველს გრს განსაკუთრებული სიფხიზლე ჰმართებს. მის დღევანდელს მეთაურებს ახალი და საძიმო პასუხისმგებლობა ეკისრებათ. მათ ყოველგვარი საშუალება უნდა მიიღონ, რომ ქართველ გრს შეუნარჩუნონ ის, რაც მას დღემდე არ დაუკარგავს. ძველებური სიფიცხეც და დაუდეგარი ლოდინი შესაძლოა საბედისწერო ოყოს ქართველი ერისათვის.

რასაკვირველია, ჩვენი ქვეყნის დღევანდელს მდგომარეობას ვერავითარი პოლიტიკური ნაბიჯი ვერ გარდაქმნის საფუძვლით. მაგრამ ქართველმა ერმა და მისმა ხელმძღვანელებმა ყოველგვარი საშუალება უნდა გამოსცადოს და ყოველგვარი ზომა უნდა მიიღოს, რაც საქმეს ოდნავად მაინც გაადვილებს.

ახლის ზომად უნდა ჩაითვალოს საქართველოსათვის ბისი ამიერ-კავკასიიდან გამოყოფა და დამოუკიდებლობის გამოცხადება.

საქართველოს დამოუკიდებლობას, რასაკვირველია, ეხლა უკვე ადარ მოაკლებენ ის შედეგები, რომელნიც მოსალოდნელი იყო დამოუკიდებლობა რომ თავის დროზე გამოგვეცხადებინა და თავის დროზე დაგვეწყო საკუთარი საგარეო პოლიტიკის წარმოება.

მიუხედავად ამისა დამოუკიდებლობის გამოცხადება ეხლა უკვე აუცილებლობას შეადგენს, ვინაიდან ჩვენ სხვა გზით არავითარი საშუალება არ გვაქვს დროებით მაინც შევაჩეროთ ოსმალეთის ჯარის ჩვენს სამშობლოში მსვლელობა. ოსმალეთი ომს აწარმოებდა ამიერკავკასიის წინააღმდეგ. დღესდღეობითაც ის იპყრობს ამიერკავკასიის პროვინციებს. ამიერკავკასია ვერც საზავო მოლაპარაკებამ და ვერც დროებით ზავმა ვერ დაიფარა ოსმალეთის ლაშქრის შემოსევისაგან. ამიერკავკასიას ვერც დიპლომატიური და ვერც საჰხედრო ზომებით ვერ შეუხერხებია თავის დაცვა. საქართველოს ასეთს პირობებში ერთად-ერთი გზა აქვს: ის უნდა გამოეყოს ამიერკავკასიას და დამოუკიდებელი საქართველოს სახელით მოლაპარაკება გაჰმართოს ოსმალეთთან და მის მოკავშირეებთან. ოსმალეთის პასუხისმგებელი წარმომადგენლები უკანასკნელ დროამდე ირწმუნებიან, რომ საქართველოს დაპყრობა მათ არა აქვთ აზრად. ჩვენ არ გვაქვს არავითარი საშუალება წინააღმდეგობა გაუწიოთ ოსმალეთს, როდესაც ის თავის მიზნებს ანხორციელებს ამიერკავკასიის სომხურსა და თათრულს ნაწილებში. იქნებ ოსმალეთს ამ ოლქების შეერთებაც ჰქონდეს გადაწყვეტილი, და თუ ეს ასეა, საჭიროა, რომ საქართველომ დროზე გამოაცხადოს თავისი დამოუკიდებლობა, რომ მანაც ამიერკავკასიის სხვა ოლქების ბედი არ გაიზიაროს.

საქართველოს დამოუკიდებლობის გამოცხადება იმდენად მნიშვნელოვანი აქტია, რომ არ შეიძლება მას დიდი ცვლილება არ მოჰყვეს ოსმალეთის საომარ და დიპლომატიურ ოპერაციებში. ყოველს შემთხვევაში ეს ოსმალეთის აქტიურ მოქმედებას დროებით მაინც შეაფერხებს. უფრო მოსალოდნელი კი არის, რომ დამოუკიდებელ საქართველოს ოსმალეთი ადარ შეეხება და მასთან მეგობრულ განწყობილებას დაიჭერს.

ქართველი ერის დღევანდელმა მეთაურებმა ეხლა მაინც დაიწყონ თავი ჩვეულებრივ დოკტრინიორობას და პარტიულ ეგოიზმობას. საქართველო ეხლა უდიდესი საფრთხის წინაშე სდგას და მისი მეთაურები მოვალენი არიან ყოველგვარი საშუალება გამოსცადონ ამ ეროვნული განსაცდელის თავიდან ასაცდენად.

მომენტისათვის

ყველასათვის ცხადია, თუ რა საბედისწერო მომენტს განიცდის ეხლა ჩვენი ქვეყანა. საზავო მოლაპარაკება ბათომში ფრიად ნელის ნაბიჯით მიმდინარეობს, ხოლო ცნობები იმის შესახებ, რომ თვით დამოუკიდებლობის ადიარება ამიერ-კავკასიის რესპუბლიკისა ცენტრალ სახელმწიფოთა მიერ პოულობს ახალ ახალ დაბრკოლებებს, ნათლად გვიმტკიცებს, რომ ოსმალეთი და შეიძლება გერმანიაც არც თუ ფრიად ჩქარობენ მოლაპარაკების ჯეროვანად დამოლოდებას. მტკიცე და ნაყოფიერ ზავის შეკვრა ისეთ ხელოვნურ ერთეულთან, როგორიც არის ამიერ-კავკასიის რესპუბლიკა, თანამედროვე პირობებში ალბად შეუძლებელი ალმოჩნდა ოსმალეთ-გერმანეთის რეალ პოლიტიკის დიპლომატებისათვის და მით უმეტეს მას შემდეგ, რაც ბათომში ჩვენი „მოლიან“ მთავრობის დელეგაციასთან ერთად გაჩნდნენ სუპარატიული დელეგაციები ამიერ და იმიერ-კავკასიის ცალკე ხალხებისა. ფაქტიური მდგომარეობა ბათომის საზავო მოლაპარაკებისა პოულობს რეალ გამოძახილს ფრონტის ხაზზე, რომელიც გუმბრის დაპერის შემდეგ ოსმალების მიერ გადმოტანილ იქმნა ბორჩალოს მაზრაში საქართველოს საზღვრებში და ლიტი დდე თბილისს უახლოვდება.

ჩვენ ვდგევართ დიდს საფრთხეს წინაშე. ჩვენ შეგვიძლია დაკარგოთ არა თუ ეგრედ წოდებული დემოკრატიული ფრონტი, რომლის დაცვის შესახებ ასე ბევრი დაიწერა ამ რევოლუციის დროს, არამედ ყოველგვარი შესაძლებლობა ერის თავისუფალ განვითარებისა და მისი პოლ ტ კურ და კულტურულ ცხოვრების ადგილ-ძირებისა, ყველაფერი ის, რის იმედით სუნთქავდა რუსეთის მონობისა და უსაშინელეს ეროვნულ დევნის დროს ერის საუკეთესო ნაწილი. და ამისი მთავარი მიზეზი იქნება, თუ ჩვენს ქვეყანას თავისუფლების ბედმა მართლაც საბოლოოდ უტყუნა, თავდაპირველად, რასაკვირველია, თვით ჩვენი საკუთარი უსუსურობა, პოლიტიკური ალზრდის უქონლობა და გასაოცარი სიმეცე, რომელიც ქართველ ერის სავალალოდ და საუბედუროდ, ისე რიგად ახასიათებდა ჩვენი ეგრედ წოდებულ რევოლუციურ დემოკრატიის პოლიტიკის მესვეურთ განვლილს რევოლუციის ხანაში შემდეგ ქვეყნის მართვა-გამგეობის და ძალა-უფლების მათს ხელში გადასვლისა. რუსეთის რევოლუციის ფრაზეოლოგიაში საუკეთესოდ და ჩინებულად გაწვრთნილთ და საერთო რუსეთის დემოკრატიულ ფრონტისთვის მებრძოლთ გამოუპარათ თვალიდგან ის დიდი ახალი პოლიტიკური ფაქტორები, რომელნიც ამ ძოვეგებდნენ ომის მიერ წამოყენებულ პოლიტიკურ პრობლემებს წინა ზიაში. გამოეპარათ, რომ თვით კავკასიის ხალხთა შინაური ცხოვრებაში, კერძოდ და განსაკუთრებით თურქეთში, უკანასკნელ ათეულ წლის განმავლობაში გაჩნდა ახალი მომენტები, რომელნიც ეპვა გარეშეა საჭიროა და ხელს ყოველ დროა განსაკუთრებული მნიშვნელობა უნდა ჰქონოდა კავკასიის ბედისათვის. მათ შეუმჩნეველი დარჩათ ის გარემოება, რომ თვით ოსმალეთში, შემდეგ ახალგაზრდა ოსმალთა პარტიის იქ გაბატონებისა და ბალკანეთის პოლიტიკის საბოლოოდ დამარცხებისა, წამოყენებულ იქმნა ახალი პოლიტიკური პლატფორმა, რაც თავისი საბოლოო შედეგებით მიისწრაფოდა ყველა თურქის მოვლგმის ხალხების ოტომანის იმპერიის გაფლენის ქვეშ მოქცევისაკენ. ჯერ კიდევ მაშინ, როდესაც ომის მსვლელობა და მისი მომავალი შედეგები ბურუსით იყო მოცული, როდესაც გერმანელების ჯარი იხევდა კენიგსბერგისაკენ და რუსეთის ლაშქარი ძალვამოსილად ეუბეკენ და ავსტრიელებს გალიციაში, სტაბილის პასუხისმგებელი პოლიტიკური პოლსა ჯერ მ ჯელობდა ოსმალეთის ამ ომში ჩარევის აუცილებლობაზე. ის საკითხები, რომელიც მაშინ დასმული იყო ახალგაზრდა ოსმალთა პრესასაში და რომელთა გადწყვეტას, ოსმალთა აზრით, მათი ეროვნულ-პოლიტიკურ არათუ მომავლის უზრუნველყოფის, არამედ პირდაპირ არსებობის ინტერესი მოითხოვდა, ცხადად გვიჩვენებდა, რომ ოსმალეთისა და საზოგადოდ თურქების წინაშე სდგას ახალი პრობლემა, რომელსაც უდიდესი მნიშვნელობა ექმნებოდა საჭიროდ დროს თვით ჩვენი ხალხის პოლიტიკური გზისათვის. დამოუკიდებელი უკრაინა, თავისუფალი ან ოსმალეთის გავლენის ქვეშ მყოფი ყირიმი, კავკასიის მთიელ ხალხების და საქართველოს ბედი და ამასთან დაკავშირებული საკითხი ოსმალეთის საზღვრების რუსეთის მხრივ უზრუნველყოფისა, ადგრბეიჯანის თურქების დაკავშირება ოსმალეთის თურქებთან და სხვ. ყველა ეს ის საკითხებია, რომელიც თვალწინ ჰქონდათ ოსმალეთის ბელძვანელ წრეებს, რომელსაც ისინი რუსეთთან მათთვის მაშინ არა თანასწორ ომს იწყებდნენ ხოლმე და რომელთა გათვალისწინება საჭირო იყო ჩვენი პოლიტიკური ბომბეულის უზრუნველსაყოფად თავიდანვე, ხოლო გასაკუთრებით მას შემდეგ, რაც ჩვენს ქვეყანას საშუალება მიეცა თავისი ბედი თავისივე ხელით გამოეკვლევა. მაგრამ საუბედუროდ ჩვენი რევოლიუციურ დემოკრატიის მოწინავე წრეებმა ვერ შეძლეს და ვერ გაუწიეს ანგარიში ვერც საზოგადო პოლიტიკურ ვითარებას და ვერც კავკასიის ხალხთა შინაგან განწყობილებას და მათს ხშირად სრულიად კანონიერ და ან კიდევ ადვილად გასაგებ მისწრაფებას. რევოლიუციონურ ფრაზეოლოგიაში ალზრდილთ ამ წრეებმა ვერ მოახერხეს საკმაოდ დამოუკიდებელ აზროვნების უნარის გამოჩენა, რომ მათზე მინდობილი ერი არ ჩაგარდნილიყო ისეთს მდგომარეობაში, როგორშიაც ეხლა არის. გასაოცარი ჯიუტობა ერთიან ამიერ კავკასიის რესპუბლიკის ხაზის დაცვაში, მას შემდეგაც, რაც ცხოვრებამ და თვით სეიმის არსებობამ ცხადად ჰყო ამიერ კავკასიის მთლიანობის შეუძლებლობა, სრული უუნარობა როგორც შინაგან ძალთა შეკავშირებისა და თავდაცვის საქმის მოწყობაში ისე საგარეო კიბეზეების მოწესრიგებაში, ნათლად გვიჩვენებს, რომ ჩვენი ხალხის აწინდელმა მთავარმა პოლიტიკურმა მიმართულებამ ვერ შესძლო ცხოვრების ალღოს ადება და ჩვენი ერის თავისუფლების ნათ-საყუდელს მიუვნა. საქართველოს მაგალითზე ერთხელ კიდევ დამტკიცდა, რომ თურქეთლიუციურ იდეოლოგიას და ტაქტიკას შეუძლია მართლაც ხელი შეუწყოს წარმავალ ცხოვრების და წესწყობილების დარღვევას და დაშლას, მას არ ძალუძს საჭირო უნარის გამოჩენა, როცა საგანი საკითხი დანგრეულის ნაცვლად ახლ შენობის ამართვის შესახებ. ამისი დასამტკიცებელია მთელი რიგი ფაქტებისა ახლო წარსულიდან და ამასვე გვიჩვენებს ეხლა უკვე საკმაოდ გამოარკვეული შეუძლებლობა ზავის საკეთილოდ დამოლოებისა, სანამდის ჩვენი ცხოვრების სათავეში მყოფ ახლანდელ ჯგუფების ტაქტიკა ოფიციალურად ეროვნულად გადასჯული და ნომენტის მიხედვით ძალაგამოდ ნეწყორებული.

დასანანია შეუძლებელია ის ჯგუფნი, რომელიც ჩვენი ქვეყანა ამ გარემოებამ დაც მიიყვანეს, ვალდებულნი არიან ბიიღონ ყველგვარი ზომა და ცხოვრების რეალ მოთხოვნილებებთან შეთანხმებით იხსნან ჩვენი ბედისთვის და მისი ნომადელისთვის ის, რისი ხსნაც კიდევ შეაძლება.

ხ. იმერი.

პრესა

ამ ბოლო დროს ჩვენსა სოციალისტურმა გაზეთებმა მეტად გაბაზეს წერა იმის შესახებ, ოა ხალხში დიდი ცვლილება მოხდა და ის ერთიანად შორდება სოციალისტურ პარტიებს. ამის შესახებ სოციალ-დემოკრატიული გაზეთები ჩვენს ენაზე სოციალისტ-რევოლიუციონერებიც შეუერთდნენ. ამ პარტიის გაზეთი „ლენინ ხალოდა“ სწერს:

„ქუთაისის გუბერნიაში ერთი რამ იქცევს ყურადღებას. ეს არის ეროვნულ დემოკრატიულ იდეების ფეხის გადგმა ელვისებრ. ეროვნული დროს სოციალიზმის სერიოზულ მოწინააღმდეგედ გამოვიდა ეროვნულ-დემოკრატიული პარტია, რომლის წინააღმდეგაც ყველა სოციალისტური პარტიები უნდა შეერთდნენ ერთ სიაში. მოულოდნელიც არ არის ეროვნულ-დემოკრატების გამარჯვება. ეგრედ წოდებული „რევოლიუციის თანამგზავრი“ საუალო შეძლების ფენა ალბა ყველა იმას, რაც მისთვის საჭიროა და ბურჟუაზიულ პარტიისკენ გადადის.

ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის გამარჯვება მიანიშნებ იმ გარემოებამ, რომ საადგილმამულო რეფორმიანი განსაზორციელებლად მთავრობის მიერ შეტანილი ლონის ძიებანი არ გამოდგნენ მიზან შეწონილნი. ამას დაუმატეთ ის გარემოებაც, რომ ბლეხოას არ ჰსურს იჯარა ძალიოს საადგილმამულო კომიტეტებს, რომ ბეგ ნოწადიდანებულია ბიწა საკუთრებად შეაძინოს თუნდაც ძვირად (ფული კი აქვს სოფლელებს)—და ადვილი ასახსნელი იქმნება ეროვნულ-დემოკრატების გაძლიერება. არის კიდევ ერთი მიზეზი, რომლის გამოც ბლეხები მეტად უკმაყოფილო ირიან. ეს გაბლავთ მუაშევრების საადმინისტრაციო პოლიტ კით გამოწვეული უთანხმოება.

ის გარემოება, რომ სოციალ-დემოკრატებს, ცოტად თუ ბევრად სპასუხისმგებლო თანადგომაზე კაცების დანიშვნის დროს, კრიტერიუმად აქვთ მუდამ ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ ამა თუ იმ თანამდებობაზე უნდა დანიშნოს უეჭველად სოციალ-დემოკრატი და ის უნდობლობა, რომელსაც იჩენენ სხვა სოციალისტურ პარტიების მიმართ,—მათ სახელ ეტენს ხალხის თვალში.

ბრმა ადმინისტრატიულ პოლიტიკას აწარმოებენ სოციალ-დემოკრატები სოფლად, სადაც რომელიმე სოფლის კომისრის გამოცვლა და ახალი არჩევნები თითქმის მათ პარტიულ საქმედ ხდება.

ასეთ პოლიტიკას მოთმინებიდან გამოჰყავს გლეხობა, რის გამოც შორდებიან პარტიებს.

დღეს თუ ლეჩხუმის მაზრა მენშევიკებისთვის დაკარგულია, ამაში საკმაო დანაშაული მაზრის კომისარ კაჩუხაშვილსაც მიუძღვის. ლეჩხუმის მაზრას ეხლა სათავეში ეროვნულ-დემოკრატი, ამბროსი პირველი უდგა, ასევე მოხდება სხვა მაზრებშიც, თუ მენშევიკები არ დაჩქარდებიან და არ შესცვლიან თავიანთ ადმინისტრატიულ პოლიტიკას“.

ჩვენი სოციალისტები სისწორით არ ხსნიან იმ მოვლენას, რომ მათ ხალხი ჩამოშორდა. მენშევიკებისა და სხვა სოციალისტური პარტიების გაკოტრება ხალხის თვალში მარტო იმით კი არ აიხსნება, რომ მათ წინააღმდეგ ეროვნულ-დემოკრატები სასტიკ ბრძოლას ეწევიან, არამედ უფრო იმ გარეშოებით, რომ ამ პარტიებმა ხალხს იმედი გაუცრუეს. ისინი ხალხს მხოლოდ იმედებით და დაპირებებით ჭკვებდენ ცხოვრება კი, როცა ძალა მათ ხელში გადავიდა, სავსებით და შალეს, დაარდვიეს და არიგ-დარიეს. სოციალისტ - რევოლუციონერების გაზეთს საჭიროდ მიაჩნია, რომ მომავალს არჩევნებში ყველა სოციალისტური პარტიები შეერთდენ ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის წინააღმდეგ და არჩევნებში საერთო სიით გამოვიდენ, მისის აზრით ეს იხსნის მენშევიკურ პარტიას სრულიად დამარცხებისაგან. „წყალ წადებული ხვსს ეპიდგბოდაო“ სწორედ ეს იქნება.

მთავრობის ცნობა

ოსმალების წინააღმდეგ

ბათომიდან ა. ი. ჩხენკელი იტყობინება: ოსმალებმა მოითხოვეს, რომ მათ მიეცეთ საშხედრო საჭიროებისათვის, საყოველთაო ზავის შეკვრამდე ამიერკავკასიის რკინის გზით ხარგებლობის უფლება. ამის ასრულებას კატეგორიულად მოითხოვენ.

ფონ ლოსსოვის წერილი

19 მაისს გერმანიის საზავო დელეგაციის თავმჯდომარემ ფონ-ლოსოვმა ჩვენი დელეგაციის თავმჯდომარეს ა. ი. ჩხენკელს გამოუგზავნა წერილი, რომელშიაც ნათქვამია, რომ საზავო მოლაპარაკება ამიერკავკასიის და ოსმალეთის წარმომადგენლების შორის წინ ვერ მიდის და აქამდე შედეგები ვერ მოიტანა. ფონ-ლოსოვი წინადადებას იძლევა, რომ თუ ეს მიღებულ იქნება, გერმანეთის დელეგაცია შუამავლობას იკისრებს. ჩვენმა დელეგაციამ ფონ-ლოსოვის წინადადება მიიღო.

ვეხიბ ფაშა გუმბრში

გენ. ოდიშელიძე ბათუმიდან ატყობინებს საჰხედრო მინისტრს, რომ 22 მაისს დილით ოსმალთა მთავარსარდალი ვეხიბ-ფაშა ავტომობილით არტაანის გზით გუმბრში გაემგზავრა, სადაც 23 მაისს ჩავა სადამოთი. 24 მაისს გუმბრში უნდა მოვიდნენ გენ. ნაზარბეკოვი და სვიშინსკი ვეხიბ-ფაშასთან შესახვედრად, რათა შეიმუშავონ ჯარის გადმოყვანის პირობები, სადმარკაცო ხაზის დასადებად და სხვა. გენ. ნაზარბეკოვთან ბათუმიდან გაგზავნა გენ. ყორლანოვი.

საოპერაციო ცნობა

23 მაისი დილის 12 საათი

ალექსანდროპოლის გეგზზე ოსმალთა მოქმედების შესახებ საჰხედრო თანამდებობის პირნი იუწყებიან: 20 მაისს ყარაჩახის ქედზე ოსმალთა რეგულიერული ჯარი გამოჩნდა, რომელთა მოწინავე ცხენოსანთა რაზმი სოფ. ვორონცოვკასთან (ბორჩ. მაზ.) გამოჩნდა და ადგილობრივ თათრებს შეუერთდა. 21 მაისს ოსმალთა ქვეითა ჯარი ადბულაღიდან ნალბანდზე წამოვიდა და 10 საათზე გეკ-ეხუე-ბეკანდის მწვერვალს მოადგა. გუმბრის ჩვენი რაზმის უფროსმა ბრძანება გასცა, თუ მოწინააღმდეგემ ნალბანდისაკენ წინსვლა განაგრძო, რაზმმა გეგორან-ტაპანლი - ვორტნოვის ხაზზე დაიხიოს, 21 მაისს სადამოთი მოწინააღმდეგემ დაიპყრო ამაღლი და შემოტევას განაგრძობს. ჩვენი რაზმი უკან იხევს კიშლაკზე და შემდეგ კარაკლისზე. 20 მაისს ოსმალებმა ქურთებს და თათრების დახმარებით იგდირს შემოუტიეს. ჩვენი სარდლების მიერ დილით გაგზავნილი პარლამენტიორები დაბრუნდნენ და მოახსენეს, რომ მტერი ერთი საათის ვადას იძლევა მთელი იარაღის და შეიარაღებულ ძალების გადასაცემად; მტერი მხოლოდ ამ შემთხვევაში შესწყვეტს საჰხედრო მოქმედებას. უდირის ჩვენი რაზმის უფროსმა გადასწყვიტა მტერი მდ. ასაქსზე შეაჩეროს შარქარასთან, სადაც 21 მაისის დამეს უნდა გადაეყვანა რაზმი.

ომი

დასავლეთის ფრონტი

ბეიაზეთი. 21 მაისი. საჰხედრო ცნობა. გუშინ, მოპირდაპირე ცდილობდა კემელის რაიონში შემოტევას, მაგრამ მოვიგერიეთ. ფორნეველის ფერმაში დრამოტერის დასავლეთ ნაწილამდე არტილერიას ქვეითი ჯარის იერიშიც მოჰყვა. განსაკუთრებით დიდ ყურადღებას აქცევდნენ კემელის მთას და მის დასავლეთ კალთებს. ჩვენმა არტილერიამ აიძულა მოიერიშენ დაძრულიყვნენ. ტყვეების სიტყვით, ინგლისელთა დივიზია იდგა მესამე ხაზზე, მაგრამ რაკი ფრანგებმა ვერ გაიმარჯვეს, ინგლისელებმაც მონაწილეობა ვერ მიიღეს შეტევაში. მთელი ღამის განმავლობაში საარტილერიო მოქმედება გაცხოველდა, განსაკუთრებით ლოკკერის მიდამოებში. დანარჩენ ადგილებში არსებითი არა მომხდარა რა.

ბერლინი. სადამოს ცნობა. 21 მაისი. ბრძოლის ასპარეზზე ცვლილება არ მომხდარა.

ვენა. 21 მაისი. ორთავე მხარეთ ზვერვაა. რაზმები შეეჯახნენ მორის სამხრეთ-აღმოსავლეთით. მტრის ყოველმა ცდამ ამაოდ ჩაიარა. ყველა იერიშზე იგი უკუგდებულ იქმნა.

მფრინავმა კუკომ 4 ჰაეროპლანი ჩამოაგდო.

ბარიზი. 21 მაისი. სამხედრო ცნობა. დღეღამის განმავლობაში კანტიკუნტად ისმოდა უშედეგო საარტილერიო სროლა.

საჰაერო მოქმედება. 19 მაისს, ჩამოაგდეს 6 გერმანული ჰაეროპლანი, კვლავ 9 ჩამოაგდეს სხვა და სხვა ბრძოლებში. ფრანგთა მმუსრავებმა 25.000 კილოგრამამის ასაფეთქებელი ჩამოყარეს როზერ-ან-შანტერერის კანტონებზე და ვილდე სელინის საავიაციო მინდვრებზე, კვლავ პერონის, მეილის, მოლინის და სხვა სადგურებზე. როზენინან დიდი ცეცხლი შეჰნიშნეს. იმავ დამით იტალიელებმა ყუმბარები დაუშინეს მონტე-კორნეს და ვილ-ომეს ჰაეროდრომს, სადაც დიდი ზარალი მოახდინეს.

ზავის გარშემო

რეიხსტაგის რეზოლიუცია

კოპენჰაგენი. რეიხსტაგის მეუმრავლესობა ბლოკმა გერმანეთ-რუსეთის ხელშეკრულების შესახებ რეიხსტაგში შემდეგი რეზოლიუცია წარადგინა: „რეიხსტაგი იმედს გამოსთქვამს, რომ 1) კანცლერის განცხადების (1917 წ. გიორგობისთვის 29) და ბრესტში მყოფ ჩვენ დელეგაციის განცხადებათა თანხმად სახელმძღვანელოდ გვექნება ერთა თვითგამორკვევ ს პრინციპ; 2) ადგილობრივ მთავრობის საორგანიზაციოდ გამოვიყენებთ ადგილობრივ ელემენტებსაც; 3) ამჟამად დაპყრობილ აუგილებში არსებული სახალხო წარმომადგენლობათ გარდაქმნით უფრო ფართო საფუძველზე-

ლედებურის წინადადება

ყარსის, არტაანის და ბათომის განთავისუფლების შესახებ.

კოპენჰაგენი. რეიხსტაგის მთავარ კომისიაში ლედებურმა შეიტანა შემდეგი წინადადება: საიმპერიო მთავრობამ უნდა იზრუნოს ყარსის, არტაანის და ბათომის ოსმალთა ჯარებისგან განთავისუფლების შესახებ. ამ ოლქების დაცვის უფლება უნდა მიენდოს ადგილობრივ მცხოვრებთ. წინადადება უარჰყვეს.

ჰაზეს პროტესტი

დამოუკიდებელ სოციალისტთა ფრაქციის სახელით ჰაზეზემ უკრაინაში წარმოებულ შეტევის შესახებ პროტესტი განაცხადა. ჰაზე მოითხოვდა, რომ ფინლიანდიიდანაც დაუყოვნებლივ გამოწვეულ იქმნეს გერმანული ჯარი. ლედებურის შეკითხვაზე, უკრაინის რომელ პუნქტში შეჩერდებიან ჩვენი ჯარები, სტატს სეკრეტარის თანაშემწე ბუშემ უპასუხა, რადას ჰსურს, რომ აღმოსავლეთით უკრაინას ყირიმი საზღვრავდესო.

მაქსიმილიან გარდენი ბრესტის ზავის შესახებ

ბარიზი. მაქსიმილიან გარდენი აფრთხილებს შეტის შეტი სიხარულით გატაცებულ პანგერმანისტებს. იგი სწერს: რუსეთს ჯერ კიდევ არ უთქვამს თავისი უკანასკნელი სიტყვა“. სახალხო კომისრები მის ნების გამომხატველები არ არიან. სანამ ომი გაგრძელდება, მოკავშირენი რუსეთს ერთსა და განუყოფელ სახელმწიფოდ ჩასთვლიან. მას ანგარიშს გაუწევენ ისე როგორც ლონდონის ზავზე ხელის მომწერ მოკავშირეს. ევროპის სწორ წონაობისთვის ეს საჭიროა. უამისოდ დიდი ხნის ზავი არ გვედირსება.

რუსეთი

თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭოს.

მოსკოვის რადიოსადგურიდან. თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭოს, კოლოსოვს, ორენბურგში ხვოსტოვს, დუბიცკის, № 1812. გამაგრდით! ენერგიული ზომები მივიღეთ. მთავარ სარდლობა ჩაჰბარდა ანტონოვ—ოვსიენკოს. ჩვენ ყველანი მას ვეხმარებით, კერძოდ ამხანაგი ტროიცკიც. სახალხო კომისარი კობიზოვი.

სახალხო კომისარების თხოვნა თურქესტანის საბჭოსადმი.

ტაშკენტი. თურქესტანის სახალხო კომისართა საბჭოს. გვაცნობეთ დღესვე რადიოთი თურქესტანის ამბები. განსაკუთრებით კი თურქესტანის სამხრეთ და აღმოსავლეთის საზღვრები. რითი დასრულდა დეპუტატთა საბჭოს ყრილობა? რა იქნა თურქესტანის ავტონომიის საქმეთათვის არჩეული კომისარი ძალიან? გთხოვთ,დღესვე გადახცეთ ბაკოში ხტეფან შაუმიანს ჩვენი შეკითხვა ამიერ-კავკასიის შესახებ. გადაეცით აგრეთვე, რომ მისი წერილები (მაისის 1-სა და 7 გამოგზავნილი) მივიღეთ. მის წერილებზე პასუხს ხვალ გამოგიგზავნით. შაუმიანიდან ჩვენ შეკითხვაზე პასუხი მიიღეთ და დაუყოვნებლივ გვაცნობეთ ჩვენც რადიოთი. ჩვენი მისამართი: მოსკოვი, კრემლი. სახალხო კომისართა საბჭოს. ველით საჩქარო პასუხს. სახალხო კომისართა საბჭოს დავალებით სტალინი.

უცხოეთი

დიპლომატიურ კავშირის შეწყვეტა რუსეთთან

„დელო ნაროდა“-ს ცნობით, ლორდ სესილს ინგლისის თვმთა პალატაში განუცხადებია, რომ ინგლისმა რუსეთთან ყოველივე დიპლომატიური კავშირი შესწყვიტა.

გერმანეთი და მეფე კონსტანტინე

გერმანეთს განუზრახავს, ულტიმატუმი წარუდგინოს საბერძნეთს, რომ საბერძნეთის ტახტზე დაბრუნებული იქმნეს მეფე კონსტანტინე.

შორეულ აღმოსავლეთის მთავრობა

მარტის 8—15 პეკინში, შავ ზღვის ფლოტის ყოფილ უფროსის ა. ი. გუჩკოვის, ამირბარ კოლჩაკის და პეტროგრადის საბანკოს ცნობილი მოღვაწე პუტილოვის თანადასწრებით მოხდა თათბირი, რომელზედაც განიხილეს ციმბირის ოკუპაციის საკითხი; მოიწონეს პროგექტი რომლის თანახმადაც უსსურის რკინის გზებს იქერს ამერიკა, ამურისას კი ირკუტსკამდის —იაპონია.

ამავე თათბირზე გადასწყვიტეს: შეადგინონ შორეულ აღმოსავლეთის მთავრობა, რომელმაც უნდა იმოქმედოს მოკავშირეთა მხრის დაჭერით. სორვატმა წარადგინა შორეულ აღმოსავლეთში დიქტატურის შექმნის პროექტი, პროგექტი არ მიიღეს.

ქრონიკა

თბილისი.

✦ შინაგან საქმეთა მინისტრს დაევალა ზომები მიიღოს იმ გაერთიანებულ კომიტეტის წინააღმდეგ, რომელიც ამიერ-კავკასიის სამხედრო ორგანიზაციების გასაერთიანებლად მოქმედებს.

✦ სამხედრო მინისტრს წინადადება მიეცა ფოთში თავის წარმომადგენელი გაგზავნოს ქონების ფორმალურ რეგისტრაციისა და თვითმართველობისთვის შესანახად გადაცემისთვის. მასვე დაეკალა ნავთსადგურს დაენიშნოს უფროსი, რომელიც დროებით დაექვემდებარება ფოთის თვითმართველობას.

✦ ამიერკავკასიის ბანკის განყოფილება ბათომში, მთავრობამ ამიერკავკასიის ბანკის წარმომადგენელს მქედლიშვილს და სხვებს ნება დართო ბათომში წასვლისა იქ ხსენებულ ბანკის განყოფილების გასახსნელად. როგორც გადმოგვცეს, ოსმალეთის ბათუმის ადმინისტრაციასაც დაურთავს ნება ბანკის განყოფილების გასახსნელად.

დ. გ. გეპშტეინი. თბილისის მუშ. და ჯარის კაცთა დეპ. საბჭოს აღმ. კომიტეტმა დ. გ. გეპშტეინს ნება დართო რევოლუციონურ ტრიბუნალში საზოგადოებრივ ბრალმდებლად გამოვიდეს ხელმე.

✦ მილიციის უფროსმა დაამტკიცა: ე. უნანოვი დაუბეჭდავ ხორცის გაყიდვისათვის, მირზა ჯაგულოვი ნიხრის ზეგით ნავთის გაყიდვისათვის, ოლარია სეკერიცა და ვედოკია ხუჩუა როგორც საზოგადო წესიერებისათვის მავნე პირნი.

✦ თბილისი თავზარდაცემულია. ქალაქში ათასგვარი ერთი მეორის საწინააღმდეგო ხმები დადის. უკანასკნელ დღეებში აუარებელი ფურგონი, ფაეტონი და ავტომობილები მიდიან საქართველოს სამხედრო გზით აუარებელი ლტოლვილნი, ბევრი ფეხით მიდის.

✦ დღეს, პარასკევს, 24 მაისს, საღამოს 8 საათზე შესდგება სხდომა საქართველოს ეროვნულ საბჭოსთან არსებულ ჯანმრთელობის განყოფილებისა, ფრეილინის ქ. № 11.

✦ „და ძმა“. კვირას, 26 მაისს (ახ. სტ.) ქართულ კლუბში, შ. დადიანის მონაწილეობით, ქართველ მსახიობთა მიერ წარმოდგენილი იქნება „და-ძმა“. წარმოდგენის წმინდა შემოსავლიდან 30 პროცენტი გადაიდება საქართველოს ეროვნულ-დემოკრ. პარტიის პირველ უბნის კომიტეტის სასარგებლოდ. დასაწყისი ნაშუადღევის 1 ს. ბილეთები იყიდება კასაში.

✦ ექიმი მ. ო. ზანდუკელი ჯარებისადმი სურსათისა და სამხედრო მასალის მიმწოდელ კომიტეტმა დანიშნა მთელ ამიერკავკასიის წითელ ჯვრის რწმუნებულად.

✦ მკვდელობა გურიაში. გურიიდან იტყობინებიან, რომ იქ ადგილობრივ მცხოვრებლებს მოუკლავთ იალტის ცნობილ გუბერნატორის ძმა დეკანოზი დავით დუმბაძე, აფიცერი კ. ბერიძე, გრ. ქარცივაძე, რომელთაც ოსმალებთან ურთიერთობა ბრალდებოდათ. ეხლა ეძებენ ამათ ამხანაგებს: დიმ. მგელაძეს და ნაოსი იორამაშვილს, რომელმაც თავის სოფ. გოგიეთში უკანასკნელ ომის დროს აჭარლები მოიყვანა და დაასახლა.

✦ მოპარული სამხედრო მასალა. სისხლის სამართლის მილიციის უფროსს შეატყობინეს, რომ სუდენი ქ. № 12 მცხოვრეს ივ. ად. ქალანთაროვის ბინაზე აუარებელი მოპარული სამხედრო ქონება ინახება. 18 მაისს მილიციელებმა აღმოაჩინეს ბრინჯი, საპონი, ტყავი, ჩირი, ჩაი, შაქარი, უნაგირები, შესახვევები, ჩექმები, კონსერვები და სხვ. გამოძიებამ გამოარკვია, რომ ყველა ეს ქონება ეკუთვნის სომხურ ლორის საგანგებო რაზმს, რომლის სამეურნეო ნაწილის გამგეადაც ივ. ად. ქალანთაროვი იყო. უკანასკნელი დაპატიმრეს.

✦ დაკარგული ჯარიკაცი. იოსებ ლუარსაბის ძე რუსიაშვილი მსახურებდა მომქმედ ჯარში მე 407-დე ქვეითი სარანჩის პოლკში, გასული წლის ქრისტეშობისთვის პირველიდან იმის შესახებ არა ისმის რა. მშობლები სთხოვენ ყველას თუ რაიმე იციან მის შესახებ აცნობონ გაზეთის საშუალებით, ან შემდეგი ადრესით: თელავი, ყვარელი, რუსიაშვილი.

✦ დაპატიმრება. დამცველმა შტაბმა დაპატიმრა პოლუჩიკი გიორ. ანდრონიკაშვილი და გრ. აკოფოვი ჩხუბის გამო. მაქ. გიორ. ნინიაშვილი, გადმოხვეწილ პატარა ქალისთვის ნამუსის ამდის განზრახვისთვის. ა. კუ

ციანი არყის გაყიდვისთვის. ერეპოლ არშაკ. თუბაევი 40 ათასი მან. სანაზინო ფულის დაკარგვისთვის. პოიმინოვი ბანკთან დარაჯის განკარგულების აუსრულებლობისთვის.

გუმბრის გარშემო

გუშინ სანაინიდან ჩამოვიდა თბილისის ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს ერთი წევრი, რომელიც 19 მაისამდე ქ. გუმბრში იყო, შემდეგ კი 22 მაისამდე სად. სანაინზე იყო. მისი სიტყვით გუმბრში ოსმალებს წესიერება არ დაურღვევიათ. ქალაქის მილიცია დასტოვეს. მილიციას დასახმარებლად მიუჩინეს 200 კაცისაგან შემდგარი საყარაულო რაზმი. მცხოვრებნი არავითარ შევიწროებას არ განიცდიან. გუმბრში და იქიდან უკან თავისუფლად შედიან და გამოდიან მცხოვრებნი, მხოლოდ ვინც ქალაქში შედის ყველას იარაღს ჰყრიან. ქალაქის თვითმართველობა გუმბრში მოქმედებას განაგრძობს და არავითარი ცვლილება მის შემადგენლობაში არ შეუტანიათ. ლტოლვილნი ეხლა ისევ გუმბრში ბრუნდებიან. რამდენიმე მატარებელი ლტოლვილებით სავსე ამ დღეებში უკან წასულა სად. სანაინიდან გუბარში. ოსმალები დაბრუნებულებს წინააღმდეგობას არ უწევენ. ლტოლვილებს უფრო მტკიცედ ეპყრობიან ადგილობრივ თათრები, რომლებიც ლტოლვილთა მატარებლებს ესხმიან თავს და მხოლოდ მოსამსახურეთა მატარებლებს უშვებენ თავისუფლად.

ყარაკლისი

ხმები სად. დიდი კარაკლისის ადგილის შესახებ ტყუილი გამოდგა. ოსმალები თანახმად მათი ულტიმატუმის პირობებისა 25 ვერსით გადმოსულიდან გუმბრი-ჯულფის რკინის გზას და გაჩერდნენ. კარაკლისი 22 მაისამდე ადგილზული არ იყო.

მთავრობის განცხადება

მთავრობა ავალებს ბეჭდვითი სიტყვის ბიუროს, გამოაცხადოს საყოველთაოდ, რომ მთავრობა ყოველ გვარ ცნობებს საზავო მოლაპარაკების და გუმბრიდან ოსმალთა მოძრაობის შესახებ, რაც კი მოსდის ყველაფერს აქვეყნებს. მთავრობა აცხადებს, რომ ყველა ამ ცნობების მიხედვით შიშიანობის და პანიკის მიზეზი სრულებით აქამდე არ ყოფილა და არც არის. სხვა და სხვა ხშირად სრულიად უსაფუძვლო ხმები, როგორც ხმები ნ ლის განმავლობაში სასახლის დაცლის შესახებ, რასაც ეხლა ავრცელებენ ქალაქში მცხოვრებთა ერთ ნაწილს სინამდვილედ მიაჩნია, თუმცა ამ ხმებს სინამდვილესთან არაფერი საერთო არა აქვთ და გამგონილია სხვა და სხვა ბნელ ელემენტების მიერ. მთავრობა კატეგორიულად უარს ჰყოფს ყოველ გვარ ცნობებს, გარდა იმ ცნობებისა, რომლებსაც ოფიციონ იძლევა.

ქალაქის დაცვისათვის

ქალაქის საბჭოს რეზოლიუცია.

ქალაქის საბჭოს არა ჩვეულებრივ სხდომაზე 5 საათი იმ ჯელეს ქალაქის დაცვის შესახებ, იმ შემთხვევაში თუ ქალაქს ოსმალები მოუახლოვდებიან. დამის 8 საათზე გამოიტანეს შემდეგი რეზოლიუცია: საბჭ ვსალმება ცენტრალ ორგანოს, რომელიც კისრულობს ქალაქის დაცვას, როგორც ანარქიისაგან, ისე მოახლოვებულ მტრისგან. ცენტრალ ორგანოში შედიან მთავრობის, წითელგვარდიის, მუშ. და ჯარ. დეპ. საბჭოსი, ქალაქის დამცველ შტაბის და ქალაქის თვითმმართველობის წარმომადგენლები: საბჭომ დაავალა გამგეობას, რომ მან მოწოდებით მიმართოს მცხოვრებთადმი და დაადგინა რომ საბჭოს ხმოსნები რაც უნდა მოხდეს ქალაქიდან არ წავიდნენ.

ფოთის ნავთსადგურიდ

ფოთი. მაისის 10. ამ ჟამად ფოთში სდგას რამდენიმე წვრილი საბარგო გემი. მათში გემი „მიხაილ“-ი—40.000 ფ. წყალწყვის და „ლობროვოლსკი“—20.000 ფუთის და რამდენიმე ხომალდი და მოტორიანი ნაგები, რომლებიც შორს საცურავად არ ეარგნან. ორი კვირის წინ ფოთიდან

ლტოლვილებით (აისორები, ბერძნები და სომხები) გაემგზავრნენ შემდეგი ტრანსპორტები: „იერუსალიმი“, „კონსტანცა“, „რუს“-ი, „ნაღლივნოი“ და „ბორჯომი“. მიღებულ ცნობების თანახმად, ლტოლვილებს არსად არ ღებულობენ. ტუაპსე და ნოვოროსიისკი მათ ზარბაზნებით და ტყვიისმფრქვეველებით უხვდებიან.

თვით ფოთში თავი მოიყარა 12 ათასამდე ლტოლვილმა. მათ მთელი ნავთსადგურის მიწაწყალი უკავიათ. მათ მიერ დაპერილი ადგილები საშინელ ანტისანიტარულ მდგომარეობაშია. ლტოლვილებს შორის სხვა და სხვა საშინელი ავადმყოფობა გაჩნდა. ბევრი იხოცება ყვავილით და სახადით. არავითარი კარინტინი. ექიმები ნაკლებად.

ყველა ეს მოითხოვს სასწრაფო ზომებს, რისთვისაც საჭიროა საშუალება. ფოთის ქალაქის თვითმმართველობამ 200000 მანეთზე შუამდგომლობა აღძრა. საჭიროა დახმარება რომ ხსენებული კრედიტი დროზე მიიღოს ქალაქის თვითმმართველობამ, წინააღმდეგ შემთხვევაში გაპიდემიის მსხვერპლი მრავალი შეიქმნება და ფოთსაც დაკარგავენ.

ამ უამად ნავთსადგურში არავითარი მუშაობა არ სწარმოებს. მუშები მოითხოვენ ნავთსადგურის ლტოლვილთაგან განთავისუფლებას და მის დეზინფექციას.

სასურსათო საკითხი ჯერ არ გამწვავებულა, რადგან ლტოლვილებს ცოტაოდენი სურსათი მოეპოვებათ, მაგრამ რადგან დღითიდღე მეტი ლტოლვილები აწყდებიან, მალე სურსათის შოვნაც გაძნელდება.

ბაკოში

(ბაკოდან მიღებულ წერილის ნაწყვეტი)

„ბაკოში ამ უამად მშვიდობიანობაა, მაგრამ სულიერი განწყობილება მაინც ჯერ კიდევ მძიმე. მთავრობა მხოლოდ ბოლშევიკურია. ფქვილი ხან არის და ხან სულ ცოტაა. ფუთი 32 თუმანი ფასობს. ქუჩაში შიმშილით იხოცებიან, ბევრი სტოვებს ბაკოს. რა თქმა უნდა ამის მიზეზი მატრო უპურობა არ არის. რუსებს ეშინიათ, ვაი თუ ძველი ამბები გამეორდესო. ბაკოში არ რჩებიან არც მდიდარი სომხები. ყოველდღე გადის ლტოლვილებით დატვირთული გემები. დღემდის ბაკოდან 50—60 ათასი კაცი წავიდა. ამ რიცხვში შედიან აგრეთვე სპარსეთის ქვეშევრდომნი, რომლებიც სპარსეთში წავიდნენ. ბაკოს შეაწერეს 50 მილიონი კონტრიბუცია. ნავთის სამრეწველო დაწესებულებებმა, ბანკებმა, გემების პატრონებმა და სხვებმა ერთად იშუამდგომლეს კონტრიბუციის განახევრებაზე, მაგრამ მათმა შუამდგომლობამ არ გასჭრა. შუამდგომლობით მიაღწიეს მხოლოდ იმას, რომ ფულის გადასახდელად ორი ვადა დაუნიშნეს. აპრილი და მაისი. ბანკებს უნდა გადაეხადათ 1 მილიონ ხახუვარ მანეთი. თითო ბანკს უნდა გადაეხადა 180 ათასი მანეთი. ფულის შეტანისა პირველი ვადა რო გავიდა გაიცა განკარგულება ნობელის გამგეთა: ტაგიანოსოვის, ლესნერის და სხ. შეპყრობის შესახებ, (რადგან ნობელის ფირმამ ფულის გადახდაზე კატეგორიული უარი განაცხადა.) ადგდგომის წინადღეს ტაგიანოსოვი, ლესნერი და სხ. ისევ გაათავისუფლეს, ფული გადაახდევინეს ხობლს წილად ხვდა 4 მილიონ მანეთის გადახდა. ბუნი არ იშოვება, რძე არ იშოვება. თითო კვერცხი მანეთად—6 აბაზად ფასობს. შედარებით იაფია თევზი და ხიზილალა. დარიბებიც ხიზილალას სჭამენ. ხიზილალა გირვანქა 8 მანეთი ღირს. გირვანქა თევზი ღირის 85 კაპ. ზუთხი 6 აბაზიდან—2 მანეთამდე. გზეთები გამოდის მხოლოდ „ბაკინსკი რაბოჩი“ („ბაკოს მუშა“).

მდგომარეობა საქართველოში

წინა წერილში მოგახსენეთ, სოფლად სოც.-დემოკრატები—მენშევიკები სამართლიანად იმკიან იმას, რაც დასთესეს-მეთქი. ეს ასეც უნდა მომხდარიყო. სოფელი მათ ხელში იაფ-ფასიან ლოზუნგების მეტს არას სწავლობდა, რაიც მეტად და მეტად ელემენტარულ ფიზიკურ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თუ გამოადგებოდათ. მაგრამ სული, ხორცის მაცხოვრებელი სული, სული ცხოველმყოფელი და ადამიანის ადამიანობის დამმტკიცებელი—მათ მოუშახამეს. დღეს ამ მოწამლულ სულს ველურ ინსტინქტების მეტი ადარა სწამს რა. მთელი ფარხმალი მენშევიკ პროპაგანდისტებისა სამშობლოს უარყოფაზე იმსხვრეოდა. მენშევიკ პროპაგანდისტებმა ნიადაგი მოამზადეს სოფლის ასე ვთქვათ „გაბოლშევიკებისა“, რაიც გლეხის თავლში მხოლოდ იმას ნიშნავს, რომ ყველაფერი მის კეთილისთვის იყო და რომ მის გარეშე არა არის რა აღარც წმიდა, არც სალირველი! და აი, როცა სამეფისწერო ომმა მენშევიკთა დამდუპველი პოლიტიკა ლოგიკურ გაკოტრებამდინ მიიყვანა, როდესაც იძულებულნი გახდნენ სოციალიზმის წიოთელ დროშის ქვეშ, მარქსის სურათით, ფაქტიურად ბურჟუაზიულ დიდნისძიებათათვის მიეგებინათ თავიანთ გადასარჩენად, როცა ცხოვრებამ აიძულა შეურაცყოფილ ქვეყნის სახელით ელაპარაკათ და „სამშობლო გასაცდელშია!“—გამოეცხადებინათ, ჩვენი გლეხი მათ ხელში შეერჩათ უსულგულოდ, უინტერესოდ, რომლისთვისაც სულ ერთი იქნება ჯალალ-ედინი იმეფებს აქ, ლენინი თუ რომელიმე ბოგდიხანი. მაშ განა გასაკვირველი იქნებოდა, რომ „სამშობლო გასაცდელშია“ მას აღარასფერს არ ეტყოდა? ეს ოდესღაც ერუანტელ მომგვრელი სალმრთო თილისმა ყოველგვარ დირებულებას მოკლებულია გლეხის თვალში, და აი, ნაყოფი სურნელოვანი მენშევიკთა პოლიტიკისა: მოხდა სასწაული, გლეხი მამულის მოყვარული, გლეხი ბუნებრივად პატრიოტი — პატრიოტულს მოწოდებას, მამულიშვილობის ცეცხლს ადნობს და ანელებს იმ დვრიტაპილაზე, რომელიც „მასწავლებლებმა“ მისთავაზეს! დაეცა მაგ.ომი? მერე რაო! დაიღუპოს იგი! ეს მის სულს ისევე არას ეუბნება, როგორც პატარაობისას მის მიერ ჩამოშლილი ჩიტის ბუდე. მოდის მტერი? მაგრამ რომელი მტერი? იგი მხოლოდ ერთ მტერს იცნობს, ესაა „ბურჟუა!“ და „ბურჟუა“ კი ყოფილი თავადია, აზნაური, მღვდელი და მერი, რომელნიც „შეთანხმებით“ ოთარის ბეგებთან ერთად მუშაობენ! გლეხს ხელაც ვერ დააჯერებ, რომ დ ფერიაქებული და სოფლით ლტოლვილი თავად-აზნაურობა ლეკებში არ არის გასვეწილი და თოფითა და ჯინჯლით არ იკაზმება მათს წინააღმდეგ გამოსალაშქრებლად. საბუთი? რამდენიც გნებავთ: სოფლის ფანტაზიაც რომ არ ვიანგარიშოთ, თუნდაც ყურადღება არ მივაქციოთ ათას შინაურისა თუ გარეულის შეუგნებელ თუ შეგნებულ პროვაკაციის, საკმარისია დღევანდელი ოფიციოზი მათი გაზეთი „ერთობა“—გადაჰხედონ, რომ ეს ზღაპრები არ ამოიკითხონ! „ერთობა“ დღესაც, ამ კრიზისის დროს, ურცხვობისა, თავხედობის და ერთობ უკმეხობის ორგანოდ გარდაიქცა, რომ გლეხს ყოველს ფეხის გადადგმაზე აგონებს ასეთს ბრიყვულ ბრალდებათ და ფართო ასპარეზს უშლის ისეთ ველურობის ჩასადენად, როგორიც სოფლად მემამულეთა დარბევა-ამოწყვეტაა! ამ გაზეთმა ბრმა პოლიტიკის გასამართლებლად თუ პოპულარობის შესარჩენად, ბევრჯელ ნიანგის ცრემლით ჩამოჰბანა კაენის ხელებს შემშრალი სისხლი და ვინ იცის, რამდენს კიდევ უნგბლიეთ როგორ ტონს აძლევს ახალ ბოროტმოქმედების ჩასადენად! დაწვა, განადგურება ,კვლა, ის ახალი დირებულება, ადმიდდა და განმტკიცდა უფრო იმიტომ, რომ ბოდიშს ჰხდიდა ასე ვსთქვათ „ოფიციოზი“, ბრალდება ისე მკაცრი არ ყოფილა მის ფურცლებზე, რამდენადაც გასამართლება. ციციშვილთა მთელს საგვარეულოს ამოწოცვა, ძმათა ხერხეულ ძეთა ამოჟლეტა, მაჩაბლების მამულების განადგურება საბოდიშო კოზირს ჰპოვებდა „ერთობის“ მხრით, ვინაიდან გლეხებში ჯერ კიდევ „ბატონყმობის შურისძიების წყურვილი არ გამქრალაო!“ ულგაშებში მომღიმარი გაველურებული გლეხკაცი ამით თამამდებოდა და მით უფრო იზრდებოდა მისი ასე ვთქვათ, „ბოლშევიკური“ მოქმედების პრესტიჟი. სოფლის „გაბოლშევიკება“, უკვედ რომ ვსთქვათ, მისი გაველურება, სოფლის ცხოველ-მყოფელი სულის ჩაკვლა მენშევიკთა მაბვილით მოხდა და ანარქიამაც უმზაკავს მოქალაქეობის უფლება მოიპოვა მათის წყალობით.

ქართველი.

პირველი მერცხალი

ქართველო ვაჭარ-მრეწველნო! დაესწარით 13 მაისს 1918 წ. ვაჭარ-მრეწველთა კავშირის დამფუძნებელ კრებას. იცით, მოქალაქენო, რა დღეა ჩვენთვის 13 მაისის კრება? თქვენთვის არ ვიცი რა ფასი აქვს ამ დღეს, მაგრამ ჩემთვის, რომელიც მომსწრე ვარ იმ შაბნელი დღეებისა, როდესაც საქართველოს დედა ქალაქში ერთი ქართველი ვაჭრის ხსენება და პატივნებაც არსად იყო და ყველანი ჩვენს გარშემო მოსულ სტუმრების მონა და ყმანი გიყავით, 13 მაისი დიდი დღეა. რა ზიზღებს, რა საშვალებებს არ ხმარობდენ, რომ რა არის დაეკარგვინებინათ ჩვენთვის ხალისი ვაჭრობისადმი და ქონებრივად გალატაკებულნი დავჩნდილყავით. ამიტომ გაგვაზეპირებინებდენ ამბავი ხალხურ ლექსს:— „სომხი და დუქანი, ქართველი და ბუთანია“. დღეს მოაღწია იმ დიდმა დრომაც, როდესაც ჩვენ ვარწმუნდებით, რომ ქართველი არც ისე უსახო, ბედდოვლათი და უნარო ძოკლებული ყოფილა ვაჭრობა-მრეწველობაში, დღეს მოწმენ ვხდებით იმ ბედნიერი დღისა, როცა ქართველ ვაჭარ-მრეწველთა კავშირი არსდება. დამფუძნებელს კრებას, რომელსაც მე ვუწოდებ „პირველს მერცხალს“ და რომელმაც უნდა ჩაუყაროს ქართველი ერის აღორძინებას საძირკველი, როგორც ქონებრივათ, აგრეთვე კულტურულათ, გულწრფელად უნდა მიესალმოს ყოველი ქართველი და არა მარტო ვაჭარ-მრეწველნი.

იცოდეთ, მოქალაქენო და მეძმენო, რომ ერთად ერთი ხსნა ჩვენი ერისა დაბეჩავებისგან არის, რომელიც შემოიტანს ჩვენში კულტურას, ტექნიკასა და ქონებრივათ გადონიერებას, რომლითაც გამდნიერებული მთელი კულტურული ევროპა. აიდეთ და შეადარეთ ის ქვეყნები, რომელნიც ჩამორჩენილნი არიან ვაჭრობა-მრეწველობას იმ ქვეყნებთან, სადაც ჰყვავის ვაჭრობა-მრეწველობა და ადვილად და ნათლად წამოგიდგებათ, თუ რა ძალასა და სიმდიდრეს შეადგენს ვაჭრობა-მრეწველობა. აიღეთ სპარსეთი, ოსმალეთი, 500 მილიონი, თუ ჯერ კიდევ დიდი რუსეთი და შეადარეთ ეს ქონებრივი უძლურობით ტ უკულტურობით გაველურებული ქვეყნები ვ ვაჭრობა-მრეწველობის ყველობით კულტურით, ტექნიკით და ქონებრივად დაწინაურებულ ქვეყნებს გერმანეთს, საფრანგეთს, ინგლისს, ამერიკას და პატარა იაპონიას და ნათლად დაინახავთ იმ მიუწვდომელ სიღლიერეს, თუ რა შეუძლიან დიდათ განვითარებულს ვაჭრობა-მრეწველობას. დიდი რუსეთის დამქცევმა ლენინმაც კი ქედი მოიხარა იმის წინაშე, და ისიც იძულებული იყო პირველს მაისს ნაციონალიზაცია წაეკითხა მუშებისათვის, რომ ერთად-ერთი საშუალება სოციალიზმის შისახწევად არის მსხვილი კაპიტალის შექმნა და ვაჭრობა-მრეწველობის განვითარება. ამას ჰდადგებს დღეს ვაჭრობა-მრეწველობის უმწვავესი ჯალათი! ამიტომ ნაოობრივად ვალდებულნი ვართ ყველანი, ვისაც კი ქართველის სახელი გვეწოდება და გულში გვიდგია კიდევ ქართული ერი ვნული ნაპერწკალი და ეელტვით ჩვენი ქვეყნისა და ხალხის ეედნიერებას და ამ კულტურულად აყვავებას, უნდა ვალად ვიგვათ და ეხურავალ მონაწილეობა მივილოთ ამ ჩვენი ქვეყნისთვის ძეტად მნიშვნელოვანი ორგანიზაციის მოაყოლაში. 13 მაისს, ჩვენთვის სადღესასწაულო და საისტორიო დღეს უნდა ჩაუყარით მკვიდრი საძირკველი ამ კავშირს, უნდა შეკვრათ ძლიერი ორგანიზაციად და ძალურად ხელიხელს ჩაკიდებულნი ეედგრათ შეეუდგეთ დ დ ერთვალულს საქმეს. თავი ვანებოთ ყოველივე დადეპველს ქართულა კინკლაობას, პარტიობას და კერძო ინტერესებით გაჟღენთილობას და გულწრფელად და შეგნებულად შეეუდგეთ დირსეულის კავშირის შექმნას.

მოხუცი ვაჭართაგანი.

კორესპონდენცია

გორიდან

16 მაისს გორის სარევოლუციო ტრიბუნალმა გაარჩია ფრიად საინტერესო საქმე. საქმის გარჩევას აუარებელი ხალხი დაესწრო, რადგანაც ირჩეოდა ყველასათვის ცნობილი შატუნოვის და ვარსიმოვის საქმე. მათ ბრალდებათ გორის ქართულ პოლკის ჯარის კაცთა შორის პროვოკაციის გაწევა, მათი ალელვება, რის შემდეგაც მოჰყვა მათი, ჯარის კაცთა, გამოსვლა 6 თებერვალს.

ტრიბუნალის შემადგენლობა ასეთი იყო: თავმჯდომარეთ—ექიმი კობერიძე, წევრებათ ქალების გიმნაზიის დირექტორი კინწურაშვილი და მდებრივი, მდივნათ მელიქიშვილი.

მოწმეების დაკითხვიდან გამოირკვა, რომ ვარსიმოვი ათრობდა ჯარის კაცთ, ამხელრებდა მათ კომისარიატის და ამიერკავკასიის მთავრობის წინააღმდეგ და ჯარის კაცთა გამოსვლის დროს მის გვერდით მდგარან ორი ჯარის კაცი, რომლებიც ისროდნენ თოფებს. ხოლო შატუნოვი დადიოდა პოლკში, სათავდა მიტინგებს და ამხელრებდა ქართველ ჯარის კაცთ კომისარიატის წინააღმდეგ და მოუწოდებდა ბათ დაემხოთ ამიერკავკასიის მთავრობა. ერთ-ერთ ამისთანა მიტინგზედ მოუწვევიათ ადგილობრივ სოციალ-დემოკრატიულ მენშევიკების ორგანიზაციიდან ბ. ჯაფარიძე, დ. ოსიაშვილი, გ. ბაჩაბელი და სხ. ძალ, შატუნოვს, მიუმართავს ჯარის კაცთათვის და უთქვამს, რომ მენშევიკები და აგრეთვე ათი ბელადნი ეროდანია, წერეთელი და სხ. მათი სისხლის ხმოვანენი არიან, მათ გაჰყიდეს ამიერკავკასიის დემოკ., მათ გამოჰყვეს ამიერკავკასია რუსეთიდგან და სხ. ამ მიტინგის შემდეგ გასულა ორი სამი დღე და მოახდარა ჯარის კაცთა გამოსვლა და კომისარიატზედ თავდასხმა.

ვარსიმოვი ფიცულობდა დმერთს და წითელ დროშას რომ არაფერში არ რეულა, ჯარის კაცთა გამოსვლის დროს ის თავის სახლში, ძალზედ შეშინებული ყოფილა და გარეთ არ გამოუხედნია, და რაც შეეხება ორ ჯარის კაცს, იმის სიტყვით, ეს ყოფილა მეორე დღეს, და თვით ჯარის კაცები, მთავრობის მიერ დაცემული წითელი გვარდიელები ყოფილან.

შატუნოვი თავის უკანასკნელ სიტყვაში ამბობს: „ჩემზედ ამბობენ რომ მე საზოგადოებაში არ დავდიოდი, არაფერს მონაწილეობას 1905 წ. მოძრაობაში არ ვღებულობდი, რომ მე ჩინოვნიკი ვიყავი ძველი მთავრობისა და რომ გავხდი სოციალისტი და ისიც ოლშევიკი ახლოდ ბაში, როცა ოქტომბერში რუსეთში სახდა ბოლშევიკების გამოსვლა და მათი გამარჯვება.

ეს არ არის მართალი. მე მართალია საზოგადოებაში არ დავდიოდი მატომ რომ მე ვიცნობდი ბოლოდ ბუხეებას, რომ იქ მე ბიხდებოდა ხშირად შეკვეთილი წელში გაწყვეტილ გლეხს იმ დროს, როცა ეს საზოგადოება კარტის თამაშობია, ეტლით სეირსობით, პროექტორში სიარულით ირთობდა თავს. აი ყველა ამას მე მაიძულა ვყოფილიყავი უკიდურესი სოციალისტი. ჩემზედ ამბობენ რომ მე ვიყავი ჩინოვნიკი, ეს არ არის მართალი, რადგანაც მე ჩინი არა მქონდა და ვიყავი მხოლოთ უბრალო მოხელე გორის სასამართლოსი“.

შატუნოვმა ილაპარაკა აგრეთვე მენშევიკების შესახებ და ამტკიცებდა რომ ისინი გადასცდნენ თავიანთ პროგრამას, რომ სოციალისტური თვალსაზრისით სიკეთილით დასჯა უნდა აკრძალული ყოფილიყო, მაგრამ როცა ის ციხეში იყო მრავალი ტუსაღი დახვრიტეს. თავმჯდომარემ რამდენჯერმე შეაჩერა შატუნოვი და მოსთხოვა, რომ მან პროვოკაციულ სიტყვების ხმარებას თავი დაანებოს და რაც შეეხება სიკეთილით დასჯილთ, ისინი სასამართლოს განაჩენით ისჯებოდენ.

შატუნოვის სიტყვებმა ისე გაიტაცა ბოლშევიკი ფერშალი შოტი, რომ მან ტაში დაუკრა, მაგრამ ტრიბუნალ თავმჯდომარემ ის დარბაზიდან უმალ გაგზავნა.

ტრიბუნალმა დანაშაულად იცნო ვარსიმოვი და შატუნოვი იმაში, რომ ისინი პროვოკაციას ეწეოდენ გორის ქართულ ჯარის კაცთა შორის და მოუწოდებდენ მათ დაემხოთ არსებული ამიერ კავკასიის მთავრობა, და გამოიტანა შემდეგი დადგენილება: ვარსიმოვი დამწყვეტულ იქმნას გორის ციხეში ექვსი თვე, გამოეგზავნოს ის სამი თვე, რომელიც ის უკვე იჯდა ციხეში, რის შემდეგაც გადასახლებული უნდა იყვეს გორის მაზრიდან სამხედრო წესების ბოლამდე, ხოლო შატუნოვი უნდა დაუყოვნებლივ გადასახლებულ იქნეს გორის მაზრიდან.

ბ. კ.

პასუხი რუბენ ყიფიანს

(დასასრული. იხ. „საქ.“ № 98)

ბ. რუბენ! კეთილ ინებეთ შემდეგი ოქმის წაკითხვა და დაინახავთ ვის „ფეხირავს თავი ზიზღითა და მტრობით ხალხისადმი“.

თქვენ ბრძანებთ: „მდედელს ივანე მარგიანს ლეჩხუმი იცნობს 1905 წლიდან. ამ დროს მან საბედისწერო როლი ითამაშა ჩვენი ამხანაგი შამშე გელოვანის მკვლელობაში. სანამ პირდაპირი მკვლელები შამშესი სასამართლოს არ წარსდგომიან მანამ არც მარგიანის ბრალდება ჩაითვლება საფუძვლიანად გამორკვეულად, მაგრამ ერთი ცხადია: სვანების აზრით მარგიანი უფროველი დამნაშავეა ამ საქმეში, იგი დაიპირეს კიდეც და ივითგასამართლებისაგან შამშეს ამხანაგებმა ვეპატიეთ, ნიშნად შურისძიებისა სვანებმა მაინც დაუწვეს სახლკარი“. 12 წელიწადია გავიარ სიტყვიერად, თუ პრესის საშუალებით: უდანაშაულო ვარ ამ საქმეში და შეძლება მოიკითხეთ დაგიმტკიცოთ ჩემი სიმართლე-ძეთქი, მაგრამ ამაოდ. ოფერი არ გამოწყო. როგორც წინად, ეხლაც ჩემ საქმეს ბნელად ისვლით; კარგად იცით, ბ. რუბენ, რომ გარდაფხაძეები თქვენს ხელში სასამართლოს არ წარუდგენიან, რადგან შინიათ თქვენი „ოცეანისა“, და თქვენ მაინც ჩემ საქმეს განგებ უფარდებთ გარდაფხაძეების საქმესთან. ამით თქვენა გსურთ ჩემ საქმეს განგებ დასასრული არ მიეცეს, რომ მით შუადამ ეპვს ქვეშ მიყოლიოთ! თქვენ კ. გამოდიხართ და ბიკიკინებთ, რომ 12 წელია და ბრალდება არ მოხსნია. ამ საქმეში ჩემი „უბეჭველი დანაშაულობა“ სრულებითაც არ არის სვანების აზრი, არამედ თქვენი და ჩემი მოგზიცვნებისა. არ ყოფილა მაგალითი, რომ მე სვანებს დავეჭრა; პირიქით, თქვენ ძომისიეთ რამოდენიმე სვანი, როდესაც შამშეს ცხედარს მოვასვენებდით, მაგრამ და წმუნდნენ ჩემს უდანაშაულობაში და ვერაა გაბედით. თქვენ რომ დაგიპირეს, ეგენ ჩემზედ გადმოგავეთ. პატიებისა რა მოგახსენოთ და 1905 წელში ქუთაისში ტერორისტებიც კი დამასხით თავს.

დაგიხვევიათ თითზედ აყვარობიანი ჩემი ახოვნა და იმის ძალით ხალხის მტერად გამოგვეცხადეთ. დიდი ზარალი მოძაყენეს სრულიად უსამართლოდ, უდანაპაუროდ დამაგდეს და მეც ზარალს ვეძიებდი, ვეძიებდი პირველად ხალხისაგან, რადგან ჩემს დარბევას მთელ ხალხს აწერდენ. აქ რა არის ისეთი, რომ ციხეში ამოლპობა გწადიათ ჩემი? ყოველ შემთხვევაში არზის მიცემით სრულებითაც არაფერი ზარალი და უსიამოვნება არ მიმიყენებია საზოგადოებისათვის. აი თვით არზის შინაარსიც *), რომლისაგან დაინახავს მკითხველი, რომ მე ვთხოულობდი საქმის გამოძიებასა და ზარალის რაოდენობის ცხადყოფასა. არზის ბოლოში ვთხოულობდი სრულიად მიუდგომელ დამოკიდებულებას საქმისადმი. ზარალის სიის ბოლოში იმასაც ვწერდი, თუ ჩემი ძროხები და ცხვრები ვისა ჰყავდა და ბ. რუბენი მაინც მისაყვედურებს—ძროხებს მთელ საზოგადოებას უჩივიო.

შემდეგ, როდესაც გავიგე, რომ ჩემი დარბევა მთელი ხალხის საქმე კი არ არის, არამედ ქურდ-ბაცაცებისა, მათთან დავიპირე საქმე და საზოგადოებისათვის ბეწვის სალირალიც არ გადამიხდევინებია. რეაქციის დროს, როდესაც დამჯელი რაზმი იყო ლაშხეთში, წინადადება მომეცა ადმენუ ხა ზარალის რაოდენობა, რის შემდეგ აპირდებოდენ მისს გარდახდევინებას ხალხისაგან, მაგრამ მე უარი განვაცხადე. ბ. რუბენი იმასაც მიკიბ ნებს, რომ ზარალის სიაში ვეკილები როდენობასაც ვეხსენიებ. უკ ქილოთ ფულს მეკალე არ მომცემდა და თუ—კი გამოძიებით გამოირკვეოდა ჩემი სიმართლე, ფულიც მაშინ მეკალეს გარდახდებოდა და არა საზოგადოებას. კიდევ მრავალ რამეებს მისაყვედურებს ბ. რუბენი, რომ მე, ჩემი სახლიდან გატაცებული საქონელი დავიბრუნე და მტაცებლებს მ ყენებული ზარალი მოვთხოვე. ზოგს სტყუის

*) ამ წერილში მოხსენებული 4 ათეული ლეჩხუმის გლეხთა საბჭოს მიერ დამტკიცებული წერილთან ერთად მიიღო რედაქციამ.

თავისებურად და ზოგს კიდევ აზვიადებს თავისებურადვე, რასაც ჩემ მიერ წარმოთქმული სიტყვები დაამტკიცებს. ყოველივე ამას მისაყვედურებს ის რუბენი, რომელიც დღეს, საზოგადო კრიზისის დროს, დვინოს ყიდულობს სოფლად იაფ ფასებში (გარეგმოებაც ხელს უწყობს—იგი ძლეგამოსილია), ეზიდება რუმბებით თბილისში და იქ მადალ ფასებში ყიდის. რუბენი (ერთ დროს მოსე მწერლის როლის მატარებელი) მე მისაყვედურებს ზარალის ძებნას, ხოლო თვითონ (კაცი სოციალისტი) ხალხთან ჩარჩობასა სწევს!

დიახ, ბ. რუბენ, მე შეურიგდი ჩემს დამრბევლებს: ზოგმა ნებით მიზდო ზარალი, ზოგი არ დაგმორჩილა მედიატორულს განაჩენს და ნაცვლად ზარალის ზდვევისა მუქარა დამიწყო. ესენი იყვნენ შემდეგნი პირნი: ესტატე, ვასილ და იასონ ონიაძები და სტეფ. დოღვანი. კაცის სიკვდილი და დარბევა სვანებს თანასწორ დანაშაულობათ მიაჩნიათ და სისხლით იდგებენ. ამ ნიადაგზედ მოსალოდნელი იყო შეტაკება—სისხლის აღება ჩემ სახლიკაცებსა და მათ შორის, თუ მორიგება, ან სხვაგვარი დაკმაყოფილება არ მოხდებოდა. სისხლის აღების გადვიგებას ხელს უწყობდა ის, რო ხსენებულმა პირებმა უარყვეს მედიატორული განაჩენი. რომ ამეცდინა ორივე მხარესათვის უბედური შემთხვევა შე, მათი ქცევით მოთმინებიდგან გამოსულმა და ვითარცა ხორციელმან, ვუჩივდე. სასამართლომ მათ გადაუწყიტა თითო წლით გამასწორებელ რაზმში ყოფნა და „ციხეციმბირი“, როგორც რუბენი აზვიადებს. სტყუის უტიფრად რუბენი, როდესაც ამბობს, რომ ვითომც ამ ექვს კაცისაგან ამედოს ფული. ჩვენ შორის საჩივრამდი არ მივიდოდა საქმე, რომ შენისთანეებს არ შეეცდინათ და არ ეთქვათ: არ მისცეთ მარგიანს არაფერი და ჩვენ დაგიხსნით, თუ გიჩივლათო. სტყუის რუბენი, როდესაც ამბობს, რომ თითქო ლაზეთის საზოგადოება მიჩიოდეს ალმ. კომიტეტში. მე მიჩივის ზემოხსენებული ნ პირი, ისიც თქვენი და თქვენიანების რჩევით, გამოძიების დროს მოწმეებათაც ისინი გამოგყავთ, ყალბ ჩვენებას ათქმევინებთ და ამგვარად შეცბადებულს საქმეს აწყვეტთ მთავრობას. სასამართლოს არსად არ გადაუცვლია. ქუთაისში ჩავედი ამ დროს (6 თებ.) როდესაც არც გუბერნიის კომისართან მისვლა და არც ჩემი გაჩერება არ შეიძლებოდა შიშიანობისა გამო. გამოვცხადდი მიტროპოლიტთან, რომელსაც ვსთხოვე გუბერნიის კომისრისათვის ეცნობებინა მიზეზი ჩემის გამოუცხადებლობისა, მე-კი დროებით თბილისს შევეფარე თავი. ამ დროს გაზეთებმა მოიტანეს ცნობა: ცაგერში ჯარისკაცები იკლებენ მცხოვრებთო. მეც ამ ცნობით თავზარდაცემული გამოვსწიე ცაგერში, რომ, რა არის, ოჯახობას მივშველებოდი, მთელი დამე სიარულის შემდეგ ყვირილ ილას მივაღწიე ს. ღვირიშს, სადაც ჯარისკაცებმა დამაკავეს და მცველი მომიყენეს, რომელიც არ მომშორებია ერთი წუთით. ჩემს თანამგზავრს სვანს თოფიც ჩამოართვეს, რომელიც შემდეგ ერთი თვისა დაუბრუნეს. ორშაბათს (26 თებერვ.) შუადღისას განმათავისუფლეს და 2 საათზედ ცაგერში ვიყავი. აქ გავიგე, რომ ჯარისკაცებს არამც თუ არ დაუშავებიათ რამე ვისმესათვის, პირიქით სიწყნარე სუფევდა. მაგრამ ვინაიდგან დაეჭვებით ამბობდენ, რომ რაზმი თქვენი და ლეგან დადეშქელიანის მეთაურობით მალეა მოსალოდნელი ცაგერს და ის დროს აქ არ მემყოფებოდა, ვარჩიე ისევ სვანეთისათვის შემეფარებია თავი. ამიტომაც ორშაბათ საღამოს (და არა ღამის 3 საათზედ, როგორც რუბენი ჩრძანებს) გავუდექი გზას და მთელი ღამე ვიარე. ღამის 12 საათზე ლენტეხში ვიყავი და რუბენი კი ამბობს: „მე დანამდვილებით ვიცი, რომ ლ. დადეშქელიანის მკვლელობის ამბავი ხუცესმა მარგიანმა პირველმა მიიტანა ცაგერში ღამის 12 საათზედ, ხოლო 3 საათზედ იგი სვანეთში გადმართა“. ამისთანა ტყუილებით ამკობ გაზეთის ფურცლებს, ბ. რუბენ! მთელი ღამე იმიტომ ვიარე, რომ გზაში არსად არ შეიძლებოდა ღამის გათევა, მხოლოდ შევსვენეთ „კანტორაზედ“ და ლენტეხში. დადეშქელიანი მოჰკლეს 27 თებერვალს ორპირში და მე სვიდგან ვიქნებოდი მკვლელობის ახლოს, ჩემთვის წარმოუდგენელია, მაგრამ რუბენი ლეჩხუმელ ჯაშუშებისაგან ქუთაისში მიტანილ ყალბ ცნობებს „ნამდვილ ცნობებად“ ასაღებს და აწყვდის საზოგადოებას, ისიც პრესის საშვალებით! არ ვიცი—სრულს ჭკუაში მყოფმა ასეთი თავხედობა იხმაროს, რომ შეუმოწმებლად, მხოლოდ იქვით კაცის სიკვდილი დასწამოს!

ყოველივე ჩემს სიმართლეს დაეამტკიცებს უტყუარის ცნობებით, დაეამტკიცებ, რომ მე არც გელოვანისა და არც დადეშქელიანის სიკვდილში არავითარი „საბედისწერო როლი“ არ მიუმაშნია, დაეამტკიცებ, რომ მე ცამდე მართალი ვარ ამ საქმეში, დაეამტკიცებ, რომ არასოდეს კაცის სისხლით ხელები არ მქონია გასვრილი „სხვებისაგით“. თუ სადმე სამართალია ლევანის სიკვდილში შენ უფრო უმეტესი ბრალი გიდევს, ვინემ სხვას: შენ, როგორც ყოველივეში გამობრძმედებულს დიდი გავლენა გქონდა მასზედ, სახიფათო საქმეზედ მას ერეკებოდი, ხოლო შენ იმალებოდი და შორიდგან ეღიზიანებოდი!

რეზიუმე ნათქვამისა:

1) ხალხი ნდობით მიყურებს, 2) ლაზეთის საზოგადოება კი არ მიჩივის, თქვენ აჩიოლეთ 5 კაცი და მოწმეებადაც ისინი გამოგყავთ. 3) ბრალდებულთაგან არავითარი ფული არ მიმიღია გარდა სტეფო დოღვანისა; 4) ლაზეთის საზოგადოებისათვის არავითარი ზარალი არ მ მ ყენებია კარგის მეტი; 5) დამრბეველთაგან ავიღე ნებაყოფლობით 641 მან., მთელი ზარალი კი უდრიდა 4100 მან. 6) მტერობით და სრულიად უსამართლოდ ეჩხ. ალმ. კომიტეტმა ციხეში ჩამსვა და ხალხმა ამაზედ პროტესტი განაცხადა, ხოლო მე გამამართლა. 7) მთავრობას ალმ. კომიტეტმა მიაწოდა ტყუილი ცნობები და მე ამ ცნობის ძალით მიპირობდა იგი დასჯას. 8) ლევან დადეშქელიანის სიკვდილის ამბავი სრულიადაც არ მიმიტანია ცაგერში, იგი გავიგე სვანეთში მამიჩემის წერილიდგან. 9) ცაგერში მივედი ნაშუადღევის 2 საათზედ და სადამოს სვანეთში გავემგზავრე, ეს მაშინ როდესაც ლ. დადეშქელიანი ცოცხალი იყო, 10) როგორც გელოვანის, ისე ლ. დადეშქელიანის სიკვდილში არავითარი ბრალი არ მიმიძღვის. 11) პირველი ბრალდების მოხსნას ეს 12 წელიწადია ვცდილობ, მაგრამ ამაოდ; 12) ბ. რუბენი საზიზღარი ცილის მწამებელია, იგი ამავე დროს პროვოკატორიცაა. 13) ლეჩხუმში მან უნდობლობა და ზიზღი დაიმსახურა.

ვათავებ ამ გზობაზედ, ბ. რუბენ, და გიწვევ სამედიატორო სამართალში საზიზღარი ცილისწამებისათვის; სასამართლომ უნდა გაარჩიოს ჩვენ მიერ წამოყენებული ბრალდებანი; იგი უნდა შესდგეს ცაგერში, ვინაიდგან მოწმეები და დამამტკიცებელნი საბუთნი ახლო არიან. გთხოვთ თქვენის მხრით დაასახელოთ ორი კაცი, ორს მე დავასახელებ და მეხუთეს ისინი ამორჩევენ; მედიატორების განჩენი პრესაში გამოქვეყნდეს; პასუხს ვიღებ დღეიდგან ორი კვირის განმავლობაში.

თქვენგან დაწერილი დეკანოზი ი. მარგიანი.

ექიმი

დონინი

პარიზის და ბერლინის უნივერსიტეტის ყოფილი დიდი ხნის ასისტენტი ილებს თვალის ტკივილებით ავადმყოფებს

დილის 10—12 ს. საღ. 4—7 საათამდე. მიხეილის პროსპ. 76. (ხაიკინის კბილის საექიმო).

ტელეფონი 7—38.

ექიმი

მ. ო. ზანდუკელი

ასისტენტი მოსკოვის სანატორიუმ-სამკურნალო ექ. ნ. მ. კიშკინის იღებს შინაგან და ნერვების ავადმყოფთ (პსიხოტერაპით) სამშაბათობით, ოთხშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკევობით ნაშუადღევის 3 ს.—5 საათამდე. ოდლას ქუჩა № 22.

ქალაქის თვითმართველობის მიერ

დადგენილ გადასახადების შესახებ ცხადდება, რომ

1) ის სახლის პატრონნი, რომელთა სახლები შეფასებულია ათი ათას მანეთზე ნაკლებ, ამასთანავე ვაჭრობა-მრეწველობის პატრონები მოვალენი იყვნენ ქალაქის კასაში შეიტანონ მათზე დარჩენილი გადასახადები ერთი კვირის განმავლობაში. რადგანაც ვადა 18 მაისს გავიდა, ეხლა ვაქვეყნებთ იმ პირთა სიას, ვინც პასუხისგებაში იმქმნენ მიცემულნი.

2) გარდასახადები ვიზეცაა დარჩენილი 1918 წ. პირველ ნახევრისა უნდა გადახდილ იქმნეს მაისის 27-მდე. ვინც ამ დადგენილებას დაარღვევს, მას პასუხისგებაში მისცემენ— მე-29 მუხლის ძალით.

(1—956—1)

ფიგნერის გამოგზავნელ ქართველთა ამხანაგობისაგან

ინფლუენცის წყვრთ, ვისაც ერთ პაიზე მეტი აქვს, ზედმეტი პაიები შეუძლიანთ წარმოადგინონ მდგომარე წლის პირველ ივნისის შემდეგ და მიიღონ ხელფასი 50 მან. და ზედმეტი 250 მან. ხოლო თითო პაის პატრონებმა თვითეულნი პაები უნდა წარმოადგინონ და მიიღებენ ძველი პაების მაგივრათ ახლებს 300 მ. ღირებულს. პაები უნდა წარმოადგინონ თვით პატრონებმა ანუ გარეშე პირებმა ხოლო შესაფერი შემოწმებული რწმუნების წერილებით. გადაცვლილ პატრონების მემკვიდრეებმა უნდა წარმოადგინონ შესაფერი მოწმობა მემკვიდრეობისა. შემდეგ პაების გამოცვლისა დანიშნული იქნება ადგილებისაგან და ადმინისტრაციისაგან განთავისუფლებულ ინფლუენცის სახელგადო კრება. მისამართი: თბილისის სამეურნეო ბანკი (სასახლის ქუჩა) ბ. სოფრომ ტარუაშვილს.

3—1 ადმინისტრაციის თავმჯდომარე ალ. ჯაბადარი.

დილის წარმოდგენა

დილით 1 ს. **ქართული კლუბი** დილით 1 ს.

კვირას, 26 მაისს (13 მაისი)

ქართულ დრამატ. დასის ნსახიობთაგან წარმოდგენილი იქნება

დ ა - ქ ე ა

ისტორიული დრამა 5 მოქმედებად და 6 სურათად

მონაწილეობენ საუკეთესო ძალები.

წმინდა შემოსავალიდან 20 პროც. გადაიდება საქართველოს ეროვნულ დემოკრ. პარტიის პირველ უბნის კომიტეტის სახარგებლოდ. ბილეთები დღეიდანვე იყიდება კასაში. დასაწყისი შუადღის 1 საათზე. (3—9574)

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის ქალაქ თბილისის კომიტეტის

ბიურო იმყოფება მთავარ კომიტეტის ბინაზე (სასახლის ქ., № 5, ტელ. 15—73).

ბიურო დიაა ყოველ დღე დილის 10—2 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე.

თბილისში მცხოვრებ პარტიის წევრებს ევალებათ ზირლონ სათანადო საუბნო ორგანიზაციებისაგან საწევრო ბილეთები, ურომლისოდაც პარტიულ კრებაზე დასწრება აეკრძალებათ.

კვირას, 26 მაისს (ახალი დროით) დილის 11 საათზე ქართულ კლუბის-საზეიმულო შენობაში დანიშნულია

საზოგადო დამფუძნებელი კრება

თბილისის ქართველ ვაჭართა და მრეწველთა კავშირისა

განსახილველი საგანი: 1) მოხსენება საორგანიზაციო კომიტეტის მოქმედების შესახებ. 2) ხარჯთ აღრიცხვა კავშირის 1918 წლისა. 3) ამორჩევა საბჭოს წევრებისა და მათ კანდიდატებისა. 4) ამორჩევა გამგეობის წევრებისა. 5) ამორჩევა სარევიზიო კომისიის წევრების და მათ კანდიდატებისა.

საორგანიზაციო კომიტეტი სთხოვს კავშირის ყველა წევრებს უთუოდ დესწრონ ამ კრებას, რადგან როგორც პოლიტიკური ისე საზოგადოებრივი მდგომარეობა ჩვენი ქვეყნისა მოითხოვს ვაჭარ-მრეწველთა შეკავშირებას და მათ საზოგადო სარბიელზედ გამოსვლას.

საორგანიზაციო კომიტეტი.

(5—1624—3)

ცხადდება, რომ შემოწირულება საქართველოს ეროვნული ფონდის გასაძლიერებლად მიიღება ეროვნულ საბჭოს საშმართველოში, (ფრეილინის ქუჩა, 11, საკუთარი სახლი) დილის 11—3-მდე

თბილისის პირველ კოოპერატიული

სარძეო ფერმა

მიიღება წევრთა ჩაწერვა. საწევრო გადასახადი პირველ შესვლისას 10 მანეთი. თითო პაის ფასი—150 მანეთი. პაიების რიცხვი განსაზღვრულია. ფერმაში რძის გარდა შემზადდება ნაღები, მაწონი, აუდუღარ რძიდან შემზადებული ნაღები, კარაქი და აგრეთვე პასტერის წესით გაწმენდილი რძე და კვეფირი. მუშაობას ხელმძღვანელობენ მეურნე-სპეციალისტები, თვალყურს ადევნებენ ექიმები. ფერმის მოსამსახურეთა შტატი და ადმინისტრაცია შესდგება განსაკუთრებით პაიების მსყიდველთაგან.

კერძო პირების გარდა წევრებად მიიღებიან კოოპერატივები და საზოგადო სასადილოები, საჩაიები, საქველმოქმედო დაწესებულებანი: თავშესაფრები და სხვა ამგვარი, მათ უნდა შეიძინონ რამდენიმე პაი იმის მიხედვით, თუ რამდენი რძე დასჭირდებათ. საწევრო და პაის ფული მიიღება ყოველ დღე დილის 10-დან ნაშუადღევის 2 ს.-მდე და საღ. 4—6 ს. ხაზინადარ იმ. დიაკონოვთან (გოლოვინის პრ. 8. კავკასიის ქალთა კოოპერატივის გამგეობა).

7—1612—5

საქ. ერ. დემ. პარტიის I უბნის კომიტეტი

გადავიდა ახალ ბინაზე

ოლლას ქუჩა სახლი მდივნისა № 28 კოოპერატივ „ადამარების“ გვერდზე.

ბიურო დიაა ნაშუადღევის 11 საათიდან 2 საათამდე და საღამოს 6-დან 8 საათამდე. კვირა უქმე დღეებში გადადება დაკეტვას შეეთხვევიი ხასიათი აქვს.

3—2

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიულ პარტიის

ქ. თბილისის ორგანიზაციის გამგე იწვევს პარასკევს, მაისის 24-ს, საღამოს ს წორედ 6 საათზე სამეურნეო ბანკის დარბაზში მეორე, მეხამე და მეოთხე **სამოქალაქო უბნებში მცხოვრებ პარტიის წევრთა**

საზოგადო კრებას

კრების საგანი:

1. ალ. ახალთიანის მოხსენება თანამედროვე მომენტის შესახებ.
2. მთავაწმინდის საარჩევნო კომიტეტის წევრთა არჩევანი (ნაგვალად ხსენებულ უბნების საუბნო კომიტეტისა).

კრება კანონიერად ჩაითვლება მიუხედავად დამსწრეთა რაოდენობისა 4—4

მარტის 20 გაიხსნა ახალი

სამპურნალო

უოველ ბზაო ავადმყოფთათვის

ექიმ ე. ბ. მაკინარიშვილის და ლ. ბ. ნაზარეტიანცის

საავადმყოფოში იღებენ **ქირურგიულ ავადმყოფებს**, **ბავშვებს**, **ფილტვის ტუბერკულოზიანებს**, **ფილტვის ტუბერკულოზიანებს**, **ფილტვის ტუბერკულოზიან